შპს მწვანე სკოლა
0101 თბილისი
ხუდადოვის ქუჩა N13
www.greenschool.edu.ge
577 40 47 11
info@greenschool.edupage.ge

სკოლის ფილოსოფია

სკოლის ხედვა - სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით ხელი შეუწყოს დემოკრატიული, ჰუმანური, ცოდნაზე ორიენტირებული, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალურად მოაზროვნე აქტიური ადამიანების, თაობების აღზრდას, რომელიც შეცვლიან მსოფლიოს უკეთესობისკენ.

სკოლის მისია - შპს „მწვანე სკოლა - ტყის კამპუსის" მისიაა ხარისხიანი განათლების მეშვეობით, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად აღზარდოს უკეთესი მომავალი თაობა.

ღირებულებები

განცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით, სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:

- პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
- პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
- სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
- მიუკერძოებლობა;
- ერთგულება;
- ინოვაციური მიდგომები და წარსული გამოცდილების გათვალისწინება;
- ინიციატივების სწორი შეფასება და განხორციელებაში ხელშეწყობა;
- პროფესიული ზრდა და განვითარება;
- გუნდურად მუშაობა.